# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება № 23-16

"17" მარტი 2023 წ.

ქ. თბილისი

**„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 16/12/2014 სარეგისტრაციო კოდი: 010260040.35.101.016054) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების მე-3 პუნქტით დამტკიცებული „დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის" (დანართი 3):

**ა) პირველი მუხლის მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ა) ორგანიზება გაუკეთოს თბილისის დაგვა-დასუფთავებას; წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირებასა და მის გაუვნებლობას; საყოფაცხოვრებო, მუნიციპალური ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებასა და სეპარირებული ნარჩენების რეალიზაციას; ნარჩენების განთავსების საბოლოო ადგილების მართვას;

**ბ) მე-2 მუხლს დაემატოს „ღ" ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„ღ) ნარჩენების განკარგვა** - ნარჩენების მესაკუთრის მიერ ნარჩენების განკარგვა/რეალიზაცია საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად."

**გ) მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. ამ წესის პირველი მუხლის:

ა) მე-3 პუნქტის „ა - გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეგროვებული და ნარჩენებისთვის განკუთვნილ სათავსში განთავსებული, ასევე ნორიოში

არსებულ მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელ პოლიგონზე (თბილისის საკუთრებაში არსებულ ნარჩენების საბოლოო განთავსების სხვა ადგილზე) განთავსებული ნარჩენები თბილისის საკუთრებაა;

ბ) მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ნორიოში არსებულ მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელ პოლიგონზე (თბილისის საკუთრებაში არსებულ ნარჩენების საბოლოო განთავსების სხვა ადგილზე) განთავსებული ნარჩენები თბილისის საკუთრებაა;

გ) მე-3 პუნქტის „დ" და „ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეგროვებული, ასევე, ნარჩენებისთვის განკუთვნილ სათავსში განთავსებული ნარჩენები ამავე ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირის საკუთრებაა."

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე